ქ. თბილისი

ხელშეკრულება №2-(15)

01 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ **შ.პ.ს. "ავერსი-ფარმა"**, შემდგომში "მიმწოდებელი" წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ეკატერინე ბურძენიძის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 160706792 ინდივიდუალური ნომერი 15790663683016) სახით და მეორეს მხრივ [illegible] წარმოდგენილი მისი დირექტორის [illegible] სახით, შემდგომში "მყიდველი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს ფარმაცევტულ პროდუქტს ან/და სხვა საქონელს (შემდგომში "საქონელი").

1.2 ფასები საქონელზე თანხმდება მხარეებს შორის და განისაზღვრება შესაბამის სასაქონლო ზედნადებში.

2. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

2.1 მყიდველი აანაზღაურებს სასაქონლო ზედნადებში მოცემული საქონლის სრულ ღირებულებას წინასწარი ან შემდგომი გადახდით.

2.2 შემდგომი გადახდის პირობით საქონლის მიწოდების შემთხვევაში (მხარეთა ურთიერთშეთანხმებით) მყიდველი აანაზღაურებს საქონლის ღირებულებას მიმწოდებლის სასაქონლო ზედნადებში მითითებულ ვადაში.

2.3 ანგარიშსწორება იწარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 მყიდველი იღებს ვალდებულებას:

3.1.1 საქონლის მიღებისას, სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე (ხელმოწერამდე) შეამოწმოს მათი ვარგისიანობა და რაოდენობა, შეკვეთასთან მიმართებაში და აღმოჩენილი დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმწოდებელს;

3.1.2 განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მე-2 მუხლის მიხედვით.

3.1.3 სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვისას წარუდგინოს მიმწოდებელს შესაბამისი ნებართვა, რომელიც გაცემულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

3.2 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას:

3.2.1 მყიდველისგან შეკვეთის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად მიაწოდოს მყიდველს თავის ქსელში არსებული შესაბამისი რაოდენობისა და დასახელების საქონელი, რომელთა ხარისხის სერთიფიკატები (ასლები) ინახება მიმწოდებელთან;

3.2.2 საქონელთან ერთად წარუდგინოს მყიდველს სასაქონლო ზედნადები;

3.2.3 დროულად მიაწოდოს მყიდველს ხარისხიანი საქონელი;

3.2.4 მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ხარისხობრივი ან რაოდენობრივი პრეტენზიის შემთხვევაში შეცვალოს საქონელი, გამოასწოროს დარღვევა.

4. საქონლის გადაცემა

4.1 მხარეთა შეთანხმებით საქონლის გადაცემა ხორციელდება მიმწოდებლის ობიექტზე ან/და მყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე. საქონლის გადაცემის მისამართი გათვალისწინებული იქნება შესაბამის სასაქონლო ზედნადებში.

4.2 საქონლის გადაცემის მომენტად ითვლება მყიდველისთვის საქონლის მიწოდების თარიღი, რაც დასტურდება მხარეთა შორის საქონლის მიწოდებაზე (გადაცემაზე) სასაქონლო ზედნადების გაფორმებით, რის შემდეგაც მყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე.

4.3 მხარეთა მიერ სასაქონლო ზედნადების ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის მყიდველზე.

5. დავების გადაწყვეტა

5.1 ხელშეკრულების მოქმედებისას წარმოშობილ დავას მხარეები აგვარებენ ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის [illegible] ეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების [illegible] შემთხვევაში მხარე ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანი.

225068645

6.3 იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დაარღვევს ანგარიშსწორების პირობას, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს და ამ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს საურავი გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება მყიდველთან, მეორე – მიმწოდებელთან.

7.2 ხელშეკრულება დადებულია უვადოდ და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან.

7.3 ხელშეკრულებაში ყველა ცვლილება ან/და დამატება ხორციელდება წერილობით და ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდგომ.

7.4. მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე-1[1] პუნქტის შესაბამისად.

7.5 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ორმხრივი შეთანხმებით, ან ცალმხრივად - მეორე მხარისათვის 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების შემდგომ.

8. მხარეთა რეკვიზიტები

"მყიდველი"
[illegible]
მის: [illegible] №40
ტელ: 599 77 61 37
ბანკი: [illegible]
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE80LB 011 1453 442 000
ს/ნ 225068645

"მიმწოდებელი"
შ.პ.ს. "ავერსი-ფარმა"
ქ.თბილისი, დ. ადმაშენებლის გამზ., №148/2
ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE22BG0000000610088801
ს/ნ 211386695

დირექტორი:

კომერციული დირექტორი:
ეკატერინე ბურძენიძე